

სკოპინგის დასკვნა N68

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 55.6 მგვტ ჯამური სიმძლავრის ჰესების („ხაიშურა 1“ და „ხაიშურა 2“ ჰესის) მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „ხაიშურა ენერჯი“ (ს/კ 405208831);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 20.10.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გერგილი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „ხაიშურა ენერჯი“ (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (მესტიის მუნიციპალიტეტში, 55.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესების („ხაიშურა 1“ და „ხაიშურა 2“ ჰესის) მშენებლობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე თხეიშისა და ურაშის შესართავთან და ასევე მდინარე ხაიშურაზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის 55.6 მგვტ დადგმული ჯამური სიმძლავრის ორი ჰიდროელექტროსადგურის („ხაიშურა 1 ჰესი“ და „ხაიშურა 2 ჰესი“) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

საპროექტო „ხაიშურა 1 ჰესი“ მოეწყობა მდინარეების თხეიშისა და ურაშის შესართავთან. საპროექტო სათავე ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი ფიქსირდება სოფელ ქვედა ვედში, დაახლოებით 2.8 კმ-ში, ხოლო ჰესის შენობიდან - დაახლოებით 200 მეტრში. საპროექტო „ხაიშურა 1 ჰესის“ ტერიტორიიდან დაახლოებით 4 კილომეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა შ-7 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი.

საპროექტო „ხაიშურა 1 ჰესის“ დადგმული სიმძლავრე იქნება 23.7 მგვტ, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება - 105 გიგავატ/სთ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდინარის ეკოლოგიური ხარჯი იქნება საშუალო თვიური ხარჯის 10%. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები იქნება: სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და ჰესის შენობა (ძალური კვანძი).

საპროექტო „ხაიშურა 2 ჰესი“ მოეწყობა მდინარე ხაიშურაზე, სოფ. ქვედა ვედის მიმდებარედ. საპროექტო სათავე ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი ფიქსირდება დაახლოებით 75 მეტრში (სოფ. ქვედა ვედი), შეტბორვის ზონიდან - დაახლოებით 15 მეტრში (სოფ. ქვედა ვედი), ხოლო ჰესის შენობიდან - დაახლოებით 585

მეტრში (სოფ. სკორმეთი). საპროექტო „ხაიშურა 2 ჰესის“ სათავე ნაგებობიდან დაახლოებით 3.2 კილომეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა შ-7 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი, ხოლო საპროექტო ჰესის შენობა, ამავე საავტომობილო გზის მიმდებარედ, მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე განთავსდება. საპროექტო „ხაიშურა 2 ჰესის“ დადგმული სიმძლავრე იქნება 31.9 მგვტ, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება - 150.2 გიგავატ/სთ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდინარის ეკოლოგიური ხარჯი იქნება საშუალო თვიური ხარჯის 10%. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები ასევე იქნება: სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და ჰესის შენობა (ძალური კვანძი).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია საპროექტო ჰესების ალტერნატივები, ინფრასტრუქტურული ობიექტების (მათ შორის, სათავე ნაგებობის და ჰესის შენობის) ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ჰესების განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ხაიშურა 1 ჰესის“ სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-273675, Y-4751287. სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: წყალსაცავი, წყალსაგდები, ქვედა გამოსასვლელი, წყალმიმღები ნაგებობა, საოპერაციო ნაგებობები და თევზსავალი. დაგეგმილია ასევე სანაპირო ან ქვაყრილის ტიპის კაშხლის მოწყობა, რომლის სიმაღლე, კაშხლის ტიპიდან გამომდინარე, მერყეობს 19.5-დან 20.8 მეტრამდე, ხოლო სიგრძე - 79 მეტრიდან 81.6 მეტრამდე. კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი ასევე სხვადასხვაა კაშხლის ტიპიდან გამომდინარე. კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი მერყეობს 15203-15277.2 მ²-მდე, ხოლო აქტიური მოცულობა იქნება დაახლოებით 99510 მ³. მაქსიმალური შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 1151.3 მეტრზე. ანგარიშის თანახმად, ასევე დაგეგმილია თევზსავალის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ხაიშურა 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-270928, Y-4755213. სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: წყალსაცავი, წყალსაგდები, ქვედა გამოსასვლელი, წყალმიმღები ნაგებობა, საოპერაციო ნაგებობები და თევზსავალი. დაგეგმილია ასევე სანაპირო ან ქვაყრილის ტიპის კაშხლის მოწყობა, რომლის სიმაღლე, კაშხლის ტიპიდან გამომდინარე, მერყეობს 10.2-დან 11.3 მეტრამდე, ხოლო სიგრძე 96-დან 105.9 მეტრამდე. კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი ასევე სხვადასხვაა კაშხლის ტიპიდან გამომდინარე. კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი მერყეობს 40602.1-40863 მ²-მდე, ხოლო აქტიური მოცულობა იქნება დაახლოებით 153533 მ³. მაქსიმალური შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 820.2 მეტრზე. ანგარიშის თანახმად, „ხაიშურა 2 ჰესზე“ ასევე დაგეგმილია თევზსავალის მოწყობა.

„ხაიშურა 1 ჰესის“ სათავე ნაგებობიდან წყალმიმღების მიერ აღებული წყალი სალექარისა და წყალშემკრების გავლის შემდეგ, 3730 მ სიგრძისა და 3.5 მეტრი დიამეტრის

წყალმიმყვანი გვირაბის და 604.6 მ სიგრძისა და 1.6 მ დიამეტრის სადაწნეო მილსადენის მეშვეობით გადავა ჰესის შენობაში. წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, სადაწნეო მილსადენი იქნება როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა. მილსადენის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: X-273718, Y-4751311 და X-271545, Y-4754620.

„ხაიშურა 2 ჰესის“ სათავე ნაგებობიდან სალექარისა და წყალშემკრების გავლის შემდეგ წყალმიმღების მიერ აღებული წყალი 4555 მ სიგრძისა და 3.5 მ დიამეტრის წყალმიმყვანი გვირაბის და 225.3 მ სიგრძისა და 3 მ გარე დიამეტრის მქონე სადაწნეო შახტის მეშვეობით გადავა ჰესის შენობაში. წნევის რეგულირებისთვის პროექტი ასევე ითვალისწინებს გამათანაბრებელი მილის მოწყობას. მილსადენის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: X-270878, Y-4755165 და X-266541, Y-4757652.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ხაიშურა 1 ჰესის“ ძალური კვანძის შენობის მოწყობა დაგეგმილია მდ. ხაიშურას მარჯვენა სანაპიროზე, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 42.16.42.317 და ს/კ 42.16.42.662). „ხაიშურა 1 ჰესის“ ძალური კვანძის განთავსების GPS კოორდინატებია: X-271506; Y-4754646. ჰესის შენობა აღჭურვილი იქნება პელტონის ტიპის 2 ტურბინით (თითოეულის სიმძლავრე დანაკარგების და შიდა მოხმარების გათვალისწინებით შეადგენს 11.85 მგვტ-ს, ჯამური სიმძლავრე 23.7 მგვტ). გათვალისწინებულია ასევე გამყვანი არხის მოწყობა. ხოლო „ხაიშურა 2 ჰესის“ ძალური კვანძის მოწყობა დაგეგმილია მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე, შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის შ-7 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 42.16.44.020 და ს/კ: 42.16.44.027). „ხაიშურა 2 ჰესის“ ძალური კვანძის განთავსების GPS კოორდინატებია: X-266497; Y-4757678. ჰესის შენობა აღჭურვილი იქნება პელტონის ტიპის 2 ტურბინით (თითოეულის სიმძლავრე დანაკარგების და შიდა მოხმარების გათვალისწინებით შეადგენს 15.85 მგვტ-ს, ჯამური სიმძლავრე 31.7 მგვტ). ორივე ჰესზე გათვალისწინებულია გამყვანი არხისა და ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა. ანგარიშის მიხედვით, ნაპირდამცავი ნაგებობების შესახებ ინფორმაცია დაზუსტდება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტისთვის საჭირო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა და ქვესადგურის განთავსება განხილული იქნება გზშ-ის დოკუმენტში ან წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი პროექტის სახით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე გადაადგილებისთვის გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა შ-7 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი. ამასთან, დაგეგმილია არსებული მისასვლელი გზების გაუმჯობესება და გაფართოვება, ასევე სამშენებლო სამუშაოების ხელშეწყობისთვის საჭირო ახალი მისასვლელი გზების და მოსაბრუნებელი ადგილების მოწყობა. ახალი საპროექტო გზების მოწყობა ასევე გათვალისწინებულია სადაწნეო მილსადენის მიმდებარე ტერიტორიებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ვადად განსაზღვრულია 36 თვე. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დაახლოებით 150 ადამიანის დასაქმება, საიდანაც 80% იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიები იქნება მაქსიმალურად შემცირებული, გარემოსა და დასახლებულ პუნქტებზე მისი ზემოქმედებიდან გამომდინარე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა და მისი შემადგენელი კომპონენტები დაზუსტდება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფანში მოსალოდნელია როგორც ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ასევე ფუჭი ქანების წარმოქმნა (ძირითადად გვირაბის ექსკავაციისას). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ფუჭი ქანების სანაყაროების ზუსტი ადგილმდებარეობა დაზუსტდება გზშ-ის ეტაპზე. გზშ-ის ანგარიშში ასევე დაზუსტდება იმ საპროექტო უბნების ფართობები, სადაც წარმოდგენილია ჰუმუსოვანი ფენა და განისაზღვრება მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მიახლოებითი მოცულობა და დროებითი დასაწყობების ადგილები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება განხორციელდება „ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N424 დადგენილება) მოთხოვნათა დაცვით შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი თხევადი ნარჩენის (მათ შორის, მოწყობილობების გარეცხვისგან წარმოქმნილი წყლები, ობიექტის საკანალიზაციო სისტემა და დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენი) შეგროვება მოხდება სპეციალურ სეპტიკურ ავზებში, რომელთა რეგულარულად დაცლა დაგეგმილია შესაბამისი ლიცენზირებული კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება იქთიოფაუნასა და მაკროუხერხემლოებზე ზემოქმედებასთან. ანგარიშის თანახმად, მდ. ხაიშურას ხეობაში, ჩატარებული საველე კვლევის შედეგების მიხედვით, „ხაიშურა 1 ჰესის“ კაშხლის ზემოთ დაფიქსირდა კალმახის რამდენიმე ინდივიდი. ზემოქმედების შემცირების მიზნით განხილული და გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების (მაგალითად, ჰესის და თევზსავალი კონსტრუქციებით აღჭურვა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიური ხარჯის მაჩვენებლების საჭიროების მიხედვით გაზრდა და სხვ.) გატარება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევის დროს საპროექტო ტერიტორიაზე საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ძუძუმწოვრებიდან დაფიქსირდა შემდეგი

სახეობები: წავი (*Lutra lutra*), მურა დათვი (*Ursus arctos*), ხოლო. ფრინველებიდან - მთის არწივი (*Aquila chrysaetus*).

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA) და ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის (IBA) არეალში. „ხაიშურა 1 ჰესის“ სათავე ნაგებობის, კერძოდ წყალსაცავის, თევზსავალის, მისასვლელი გზისა და წყალმიმყვანი გვირაბის პორტალის ნაწილი კვეთს ზურმუხტის ქსელის საიტს („სამეგრელო 2“ - GE0000057).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხაიშურას მიმდებარე არეალი დაფარულია კავკასიური შერეული ტყით, მდიდარი ფოთლოვანი სახეობებით. „ხაიშურა 2 ჰესის“ კაშხლისა და ზემდგომი მონაკვეთების ტერიტორიაზე გავრცელებულია ალუვიური ტყეები. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიის 120912 კვ.მ. ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 62817 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება, რაც დასტურდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 29/10/2025 წ. N17/3730 წერილით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ხაიშურა 1 ჰესის“ საპროექტო ადგილას განთავსებულია ადგილობრივი თემის სალოცავი ადგილი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სავსე გეოლოგიური რუკების შედგენისა და საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების სამუშაოების დროს გამოვლინდა აქტიური გეოლოგიური დინამიური პროცესების რამდენიმე ზონა. დაფიქსირებულია რამდენიმე მეწყერი, რომლებიც მდინარე ენგურის ოროგრაფიულ მარცხენა მხარეს, ჰესის ორივე საფეხურთან ვრცელდება. ფერდობის მაღალი დახრილობიდან გამომდინარე შესაძლოა არსებული მეწყრული პროცესების გავრცელება და ახალი პროცესების წარმოქმნა სხვადასხვა ლოკაციებზე. აღნიშნული მოსალოდნელია ფერდობის ხელოვნურად დამუშავების შემთხვევაში.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიის უშუალო ზეგავლენის არეალში ფიქსირდება მდინარე კასლეთზე მშენებლობის ფაზაში მყოფი შპს „კასლეთი 1“-ის „მდ. კასლეთზე 7.6 მგვტ სიმძლავრის ჰესის „კასლეთი 1 ჰესი“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 07/02/2019 წ. N2-120 ბრძანება) და ექსპლუატაციაში შესული შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე 9.13 მგვტ დადგმული სიმძლავრის „კასლეთი 2 ჰესი“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 23/10/2020 წ. N2-970 და 20/10/2020 წ. N2-944 ბრძანებები), რაც გათვალისწინებული უნდა იქნას დაგეგმილი საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ასევე, გაეგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 12 ნოემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასა და სოფ. ქვედა ვედის ამბულატორიის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ხაიშურა ენერჯის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: საპროექტო ტერიტორიაზე („ხაიშურა 1 ჰესის“ სათავე ნაგებობასთან) მეწყრული ზონის არსებობას, „ხაიშურა 2 ჰესის“ ძალური კვანძის საავტომობილო გზის მიმდებარედ განთავსებას, ჰესების სახელწოდების ცვლილებას, კაშხლის სიმაღლეს, ჰესში წყალგამწმენდების არსებობას, ზურმუხტის ქსელის მნიშვნელობას, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებას, წყალმოვარდნების შემთხვევაში საპროექტო ინფრასტრუქტურის მდგრადობას, ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემთხვევაში ადგილობრივების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, წყლის კალაპოტში მოქცევის საკითხს, ნაპირდამცავებისა და ჯებირების მოწყობას, პროექტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გზის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს, მოსახლეობის სარგებელს, დასაქმებას, პროექტის გავლენას კერძო საკუთრებებზე, შეტბორვის არსებობას მოსახლეობასთან მიმართებაში.

საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ხაიშურა ენერჯის“ და საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილის“, ასევე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი პროექტის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საპროექტო მახასიათებლების მითითებით;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ჰესის ტიპის და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე კვანძი, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენი, ძალური კვანძი), სამშენებლო ბანაკების/მოედნების განთავსების, სანაყაროების განთავსების, ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის (არსებობის შემთხვევაში), მისასვლელი გზების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურების შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტის/ობიექტების განთავსების ადგილის/ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, საპროექტო ობიექტის ერთიან Shp ფაილებთან (მათ შორის, პოლიგონური) ერთად (შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით);

- ინფორმაცია საპროექტო არეალის გარემო-პირობების შესახებ;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურების ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის, სათავე და ძალური კვანძის სამირკვლებისა და თხემების ნიშნულები);
- ჰიდროელექტროსადგურების ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი და მათი დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰიდროელექტროსადგურების ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურების ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი, ჰესების შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერით (თითოეული ობიექტის ტექნიკური პარამეტრების მითითებით) და სქემატური ნახაზებით, ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სათავე კვანძების სამშენებლო სამუშაოების შესახებ, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სათავე კვანძების მშენებლობის ეტაპზე მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არიდების სამუშაოების, მათ შორის, აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის (დროებითი სადერივაციო არხი, დროებითი დამბა და სხვ.) შესახებ;
- ინფორმაცია სათავე კვანძების საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის, სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძებზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის, ინფორმაცია ნამატი წყლის ენერგიის ჩამქრობი ჭის მოწყობის საჭიროების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით);
- დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობების/ძალური კვანძების შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის, ჰიდროტურბინების აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრის მითითებით. ასევე, ინფორმაცია ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ და ჰესის შენობებში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ, მათ შორის: სადერივაციო გვირაბის და მილსადენის პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების (დაზუსტებული სიგრძე, სიმაღლე და დიამეტრი) შესახებ; ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გვირაბის და მილსადენის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია გვირაბის გაყვანის შერჩეული მეთოდის შესახებ. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს განხილული გვირაბის გაყვანის სამუშაოებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები. წარმოდგენილი უნდა იქნეს გვირაბის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი თანმიმდევრობისა და ვადების მითითებით;

- გვირაბის გაყვანის პროცესში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გვირაბის გაყვანის ფარგლებში ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისა და მათი გამოყენების პირობების შესახებ, მათ შორის, ასაფეთქებელი ნივთიერებების დასაწყობების ადგილების და პირობების მითითებით. ასევე ბურღვა-აფეთქებების სამუშაოების განხორციელების სიხშირის და დღის მონაკვეთის შესახებ და ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბის პორტალებთან დამაკავშირებელი მონაკვეთების/მისასვლელების და სამშენებლო შტოლნების შესახებ, საპროექტო პარამეტრების, მშენებლობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- ინფორმაცია გვირაბის ჰიდროიზოლაციისა და მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნაჟური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის, ნაჟური წყლების ორგანიზებულად შეკრებისა და მისი ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, საბოლოო ჩაშვების წერტილის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა დასაბუთდეს შერჩეული ტიპის თევზსავალის უპირატესობა სხვა სახის თევზსავალთან შედარებით. ასევე განხილული უნდა იყოს თევზამრიდის მოწყობის საკითხი. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, ინფორმაციას მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ, მათ შორის, თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს. ასევე, ინფორმაციას თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ;
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ, ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp-ფაილებში;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით (სადერივაციო-სადაწნეო გვირაბი და მილსადენი, მისასვლელი გზები და სხვ.) მდინარის, მდინარის შენაკადებისა და ხეების გადაკვეთის შესახებ, შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით, სადერივაციო-სადაწნეო გვირაბი/მილსადენისა და ძალური კვანძის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის/მილის პარამეტრებისა და მდინარეში წყლის ჩაშვების GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია ჰესების

მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გენერირების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ - ეგხ) გაყვანა დაგეგმილია დამოუკიდებელი პროექტის სახით, გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია, კერძოდ:

- საპროექტო ეგხ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების (ტიპი (მიწისქვეშა თუ მიწისზედა), სიგრძე, ანძების სიმაღლე (არსებობის შემთხვევაში), ანძების რაოდენობა და სხვ.) ცხრილი და ინფორმაცია ეგხ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპების, საყრდენების დამონტაჟების პირობებისა და სამირკვლების პარამეტრების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია ქვესადგურების შესახებ (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp-ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);
- ეგხ-ის და ქვესადგურის მოწყობის სამუშაოების დეტალური აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო-პირობების დახასიათება, ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში), დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ეგხ-ის დერეფნის shp-ფაილები (მათ შორის, პოლიგონური), ეგხ-ის საყრდენი ანძების (არსებობის შემთხვევაში) განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის, ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილ), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- დაზუსტებული მანძილი ქვესადგურიდან, ეგხ-ის დერეფნიდან და ეგხ-ის დაცვის ზონიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- ქვესადგურის და ეგხ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ქვესადგურისა და ეგხ-ის მოწყობის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება.

- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურებისა და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე, საპროექტო ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), ნაგებობ(ებ)ის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტიანობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის ტიპი, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp-ფაილები). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- სამშენებლო ბანაკის/ბანაკებისთვის შერჩეული ტერიტორიის/ტერიტორიების მდინარის სიახლოვის შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს დეტალური-დაზუსტებული ინფორმაცია ტერიტორიის/ტერიტორიების დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მათ შორის, მდ. ხაიშურადან, ურაშიდან, თხეიშიდან ან მათი შენაკადიდან) წყალაღების (აღებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები) შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია პროექტის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობისა და მართვის შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია მოსაწყობი ნავთობდამჭერი/გამწმენდი ნაგებობებისა და სალექარების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტიანობა). გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. **პროექტის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;**
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით. ასევე, ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

5.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp-ფაილები) შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების (shp-ფაილებთან ერთად) მითითებით (არსებობის შემთხვევაში)). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები, მათ შორის, სანაყაროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;

- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის/ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;
- ინფორმაცია არსებული გზების რეაბილიტაციის, ახალი მისასვლელი გზების ან/და ხიდ(ებ)ის მოწყობის შესახებ, საპროექტო გზების და ხიდ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (სქემატური ნახაზებითა და shp-ფაილებით (მათ შორის, პოლიგონური)). ამასთან, მოცემული უნდა იყოს გზების და ხიდ(ებ)ის მოწყობასთან/რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები.

5.2 ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების განთავსების შესახებ, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნ(ებ)ის დაზუსტებული ლოკაციები (shp-ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და შერჩეული ტერიტორიის აღწერა. ამასთან, დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკების და მოედნების განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. მათ შორის, სამშენებლო ბანაკების მოწყობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;
- სამშენებლო ბანაკების გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)იდან/მოედნ(ებ)იდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ;
- ინფორმაცია ბანაკების ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკებზე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის დაგეგმილია ეგხ-ის გაყვანა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp-ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე და მოედნებზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

5.3. გზშ-ის ეტაპზე წარმოსადგენი ჰიდროლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაცია მდ. თხეიშის, მდ. ურაშის, მდ. ხაიშურას და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების, მათ შორის, საშუალო წლიური ხარჯების და ჩამონადენის შიდა წლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ხაიშურას და ასევე თხეიშისა და ურაშის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო არეალში (როგორც კაშხლის ზედა, ასევე ქვედა ბიეფში) მდ. თხეიშის, მდ. ურაშის და მდ. ხაიშურას შენაკადების შესახებ (მათ შორის, საპროექტო ინფრასტრუქტურით გადასაკვეთი ხეობების შესახებ), მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- ინფორმაცია მდ. ხაიშურას, თხეიშისა და ურაშის და მათი შენაკადების მაქსიმალურ და მინიმალურ ჩამონადენზე და ასევე მყარ ნატანზე;
- ინფორმაცია მდინარეების სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული) შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის/წყალმოვარდნების რისკების და საპროექტო არეალში არსებული ღვარცოფული ნაკადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძების ქვედა ბიეფში გასაშვები სავალდებულო მუდმივი ეკოლოგიური ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). მოცემული უნდა იყოს სათავე კვანძებისთვის ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობებად მიღებული საშუალო მრავალწლიური/თვიური ხარჯების 10%-ის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს, მათ შორის, წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში - ინფორმაცია ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების (სათავე და ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების ადგილებში) შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლეების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);

5.4. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;

- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში);

5.5 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას/საკითხებს:

- დაგეგმილი კვლევის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, იქთიოფაუნასა და წყლის ბიომრავალფეროვნებაზე (განსაკუთრებით საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათ შორის, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ სენსიტიურ სახეობებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე (როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობასთან მიმართებით), ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საველე კვლევის მეთოდოლოგიასა და კვლევის დროს გამოყენებული აღჭურვილობის შესახებ. ასევე ასახული იყოს ინფორმაცია პროექტის ზონაში ინვაზიური სახეობების (არსებობის შემთხვევაში), ხოლო მათი გამოვლენის შემთხვევაში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „შემუშავდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამა, რომელიც გამოყენებული იქნება ზემოქმედების ხარისხსა და დინამიკაზე სისტემატური ზედამხედველობისთვის და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი/მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრისთვის“. გზშ-ის ანგარიშში, აღნიშნულ მონიტორინგის პროგრამაში და ასევე მის ფარგლებში შემუშავებულ გეგმაში, გათვალისწინებული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე (მათ შორის, თევზსავალის ეფექტიანობაზე) დაკვირვების საკითხები. მონიტორინგის გეგმაში ასევე განსაზღვრული უნდა იქნას თევზსავალი ნაგებობის არაეფექტურობის შემთხვევაში დამატებითი და ქმედითი პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების საჭიროება;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის აგვისტო-ოქტომბერში ჩატარებული საველე კვლევის დროს ძუძუმწოვრებიდან დაფიქსირდა მურა დათვი (*Ursus arctos*),

გარეული კატა (*Felis silvestris*) და შველის (*Capreolus capreolus*) კვალი, ასევე გამოვლინდა ფრინველთა სხვადასხვა სახეობები, მათ შორის, დიდი ლაქებიანი კოდალა (*Dendrocopos major*), დიდი წიწვანა (*Parus major*), ასევე ჩვეულებრივი სკაუტი (*Buteo buteo*). ანგარიშში ართვინის ხვლიკს - Artwin Lizard (მინიჭებული აქვს სტატუსი NT - საფრთხესთან მიახლოებული), ბოხმეჭას - Common slow worm (მინიჭებული აქვს სტატუსი NE - არ არის შეფასებული). შეგახსენებთ, რომ IUCN-ის (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის) მიერ განსაზღვრული საკონსერვაციო სტატუსის მიხედვით, ართვინის ხვლიკს და ბოხმეჭას მინიჭებული აქვს საკონსერვაციო სტატუსი LC - მინიმალური საფრთხის წინაშე მყოფი. ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს, მათ შორის, სახეობების ქართული და ლათინური დასახელებები საჭიროებს კორექტირებას/დაზუსტებას. ამასთან, კვლევის შედეგად დაფიქსირებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, მითითებული უნდა იქნას როგორც ქართული, ასევე სამეცნიერო/ლათინური სახელწოდებით. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ სტატუსის მინიჭება უნდა მოხდეს „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს „წითელი ნუსხის“ შესაბამისად;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჰესი 2-ის სათავე ნაგებობის მშენებლობა დაიწყება მდ. ხაიშურას კალაპოტის გადამისამართებით. ამჟამად განიხილება ორეტაპიანი მშენებლობის სტრატეგია, განსაკუთრებით კაშხლის ადგილმდებარეობისთვის. როგორც ჰესი 2-ის შემთხვევაში, აქაც სათავე ნაგებობის მშენებლობა დაიწყება მდ. ხაიშურას კალაპოტის გადამისამართებით. ამჟამადაც განიხილება ორეტაპიანი მშენებლობის სტრატეგია, განსაკუთრებით კაშხლის ადგილმდებარეობისთვის. მდინარის გადამისამართებისთვის სამუშაო გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს წყლის მაღალი ნაკადისა და წყალმოვარდნების უსაფრთხოდ მართვის შესაძლებლობას მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს როგორც მიმდებარე სახლების, ასევე საპროექტო ინფრასტრუქტურის დაცვას.“ გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იქნას მდინარის ჩამონადენის ნაწილობრივ ბუნებრივ კალაპოტში დატოვების ალტერნატივა, წყლის სრული ნაკადის ხელოვნურად შექმნილ კალაპოტში მოქცევისა და ასევე წყალზე დამოკიდებულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე უარყოფით ზემოქმედებისაგან თავის ასარიდებლად. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს სრულფასოვანი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შესახებ, სადაც, სხვასთან ერთად, მოცემული უნდა იყოს ალტერნატიული ვარიანტების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბის გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად (მათ შორის, მისასვლელი გზებისა და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის, ასევე სენსიტიურ მონაკვეთებზე ნაპირების და წყალდიდობისგან დაცვის მიზნით ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისას) ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების და ამ

ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ბურღვა-აფეთქების დროს ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების და აღნიშნული ზემოქმედების შემცირების/პრევენციის მიზნით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ. ტყეკავის უწყისი). ასევე სკოპინგის ანგარიშში ფლორის ნაწილი წარმოდგენილია მხოლოდ გვარის დონეზე, მაგალითად: დეკა (*Rhododendron sp.*), კაკლის ხეები (*Juglans sp.*), თელა (*Ulmus sp.*), ცაცხვი (*Tilia sp.*), რცხილა (*Carpinus sp.*) ასევე წაბლი (*Castanea sp.*). გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გვარის, ასევე სახეობის დონეზე, აგრეთვე უნდა განისაზღვროს ფიქსირდება თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე „საქართველოს წითელი ნუსხით“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება) დაცული სახეობები, მათი შესაბამისი საკონსერვაციო სტატუსების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ „ტერიტორიის კვლევამ უნდა დაადგინოს, იყენებენ თუ არა ღამურები ზემოქმედების არეალს სასიცოცხლო გარემოდ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს შესაბამისი დაცვის ღონისძიებები ღამურების შესანარჩუნებლად. უნდა მომზადდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამოქმედო გეგმა.“ გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას განხილული ინფორმაცია აღნიშნული გეგმის შესახებ (მათ შორის, გეგმის სტრუქტურა და ღამურებზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებები);
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საჭიროებს განახლებას/რედაქტირებას. გაცნობებთ, რომ 2025 წლისთვის საქართველოს დაცული ტერიტორიები მოიცავს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) 6 კატეგორიის 100 დაცულ ტერიტორიას, ხოლო დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 929996 ჰექტარზე მეტია, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 13.3 %-ს შეადგენს;
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (კერძოდ „ხაიშურა 1“ ჰესის წყალსაცავის, თევზსავალის, მისასვლელი გზისა და წყალმომყვანი გვირაბის პორტალის ნაწილები) კვეთს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ ტერიტორიას (სვანეთი 2 (GE0000057), გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება (ე.წ. ზზშ-ის ანგარიში) რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში ან წარმოდგენილი იქნას ცალკე დანართის სახით. ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის დეტალური აღწერა, მისი განხორციელების საჭიროების, მიზნების და მასშტაბების შესახებ ინფორმაცია;
- ფონური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე საკონსერვაციო ღირებულებების მქონე სახეობების და ჰაბიტატების მდგომარეობის შესახებ;
- ყველა შესაძლო ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან, განსაკუთრებით ზემოქმედება იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომელთა დაცვის მიზნითაც დამტკიცდა ზურმუხტის ტერიტორია - სვანეთი 2 (GE0000057);
- ზემოქმედების შემცირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა, მათ შორის, შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგის პერიოდულობა;
- ზურმუხტის საიტზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;
- სავსე კვლევების მეთოდები და ფოტომასალა, გამოყენებული ინფორმაციის/მონაცემების წყაროები.
- ნეგატიური ზემოქმედებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიებების მასშტაბი და წარმოებული იქნას მდინარის დათევზიანება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დათევზიანების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევების თაობაზე, კერძოდ:
 - მშენებლობის პროცესში სეზონური იქთიოლოგიური კვლევების ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენის საკითხი. კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება/ანალიზს, რათა შემდგომში სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე. იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლა გულისხმობს თითოეული სახეობის თევზის რაოდენობის დაანგარიშებას ერთეულ ფართობზე, მდინარის სიგრძივ მონაკვეთზე ან, ასევე, თითოეული სახეობის თევზისთვის თევზჭერის ძალისხმევის გამოთვლას (CPUE);
 - ექსპლუატაციის ეტაპზე: ოპერირების დაწყებიდან **პირველი 5 წლის განმავლობაში** უზრუნველყოფილი იქნას იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება/ანალიზით. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში, ფონური მდგომარეობის ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები. ამავე ანგარიშის იქთიოლოგიური კვლევების ნაწილშიც გამოთვლილი უნდა იქნას მოპოვებული თითოეული სახეობის თევზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

6. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და

პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე (მათ შორის სადერივაციო გვირაბის მშენებლობის პერიოდში), ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე (მათ შორის მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე) მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;

- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ, მათ შორის, საპროექტო არეალის მიკროკლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის, ანალოგიური პროექტები;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების (მათ შორის, „კასლეთი 1 ჰესი“, „კასლეთი 2 ჰესი“ და სხვ.) გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები, თვეების მიხედვით. ასევე, თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისთვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით:

ცხრილი 1. ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
მდინარის ბუნებრივი ხარჯი თვეების მიხედვით												
საშუალო თვიური ხარჯები, მ³/წმ												
ენერგეტიკული ხარჯი თვეების მიხედვით (ჰესის მიერ ასაღები ხარჯი)												
საშუალო თვიური ენერგეტიკული ხარჯები, მ³/წმ												
ეკოლოგიური ხარჯი თვეების მიხედვით												
ეკოლოგიური ხარჯი, მ³/წმ												
ეკოლოგიური ხარჯი, %												
საშუალო მრავალწლიური ხარჯის რამდენ %-ს შეადგენს ეკოლოგიური ხარჯი												

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი 120912 კვ.მ. ფართობიდან (shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 62817 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეოს კვარტალი N 53; 67; 68; 70; 80; 83; 84; 97-99; 108; 109. ამასთანავე, წარმოდგენილი ალტერნატივების მთლიანი 46168 კვ.მ. ფართობიდან, 24381 კვ.მ. ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ხაიშის სატყეოს, კვარტალი N 98; 99; 100; 108; 110. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-ტყის მერქნული რესურსის აღრიცხვა (ტყის ტაქსაცია).“ ამასთან, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე აღინიშნა, რომ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება საჭირო მიწების ამორიცხვა ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსიდან. შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური

სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშთან ერთად უნდა წარმოადგინოს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი ნაწილობრივ კვეთს ტერიტორიას, რომელზეც სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის (ბარიტი, პოლიმეტალები) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, იგეგმება სააუქციონე ობიექტის მომზადება. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით, თუ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი 35/10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად, შპს „ხაიშურა ენერჯი“-მ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცებულია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი Shp-ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სს „საქრუსენერგოს“ ელექტროგადამცემ ხაზს. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „საქრუსენერგოსთან“ შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული უნდა იქნას ცხრილში 4.1.4.1. მოყვანილი მნიშვნელოვანი „დამატებითი მიგნებები“ თუ რა გავლენას მოახდენენ საპროექტო არეალზე. ასევე საჭიროა განიმარტოს „ნოქალაქევის საზომი მოწყობილობის“ მონაცემებსა და მდ. ხაიშურას აუზს შორის კავშირი;
- გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იქნას გამოყენებული ჰიდროლოგიური მონაცემების წყაროები და მათი სანდოობა, ასევე ექსტრემალური ჩამონადენისა და მყარი ნატანის საკითხები;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ტექსტი, ნახაზები და ცხრილები მოითხოვს საფუძვლიან რედაქტირებას, ხოლო სქემები და სურათები წარმოდგენილი უნდა იქნას მაღალი გარჩევადობით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „დასაწყობებული ნიადაგის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1.5-2 მეტრს, ხოლო ფერდის დახრილობა 340-ს“ საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია სატურბინე ზეთების წყალში ავარიული ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესახებ. ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდების მონიტორინგის დეტალურ გეგმებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდინარის ეკოლოგიური ხარჯი იქნება საშუალო თვიური ხარჯის 10%, ხოლო ცხრილებში 4.1.4.1.1 და 4.1.4.1.2 მოცემულია, „ხაიშურა ჰესი 1“ და „ხაიშურა ჰესი 2“-ის საპროექტო და ეკოლოგიური ხარჯები, საშუალო თვიური ხარჯების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან, ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრება არა საშუალო მრავალწლიური ხარჯის, არამედ საშუალო თვიური ხარჯის 10%-ის შესაბამისად, წყალმცირების პერიოდში მოხდება მდინარეში ბევრად ნაკლები წყლის დატოვება, ვიდრე წყალუხვობის პერიოდში. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყალმცირების პერიოდში მდინარეში დასატოვებელი 10% ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის შესახებ (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს, მათ შორის, წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას), საფუძვლიანი დასაბუთებით (საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკ(ებ)ის მითითებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის შესახებ;
- გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია თევზსავალში გასატარებელი ხარჯის მნიშვნელობის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „იმ ტერიტორიებზე, სადაც საპროექტო ინფრასტრუქტურა მუდმივად არ არის განთავსებული (მაგ. კაშხალი და წყალსაცავი), ამოღებული მცენარეულობა შემდგომში აღდგება“ საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია კვეთს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი სოფელია ხაიში, რომელიც მდებარეობს ხაიშურასა და ენგურის შენაკადთან.“

აღნიშნული ჩანაწერი, ასევე საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტის/საცხოვრებელი სახლის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჰესების ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში დაიგეგმება მდინარის საპროექტო მონაკვეთის კალაპოტის გეომორფოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ყოველი წყალდიდობის შემდეგ, ჩატარდება კალაპოტის კორექტირების სამუშაოები, რათა სისტემატურად იყოს უზრუნველყოფილი ერთარხიანი დინება და წყლის ფენის მინიმალურად საკმარისი სიმაღლე.“ აღნიშნული წინადადება საჭიროებს განმარტებას. ასევე გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კალაპოტის კორექტირების სამუშაოებისას გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში ზოგიერთი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლის სახელწოდება მოცემულია მხოლოდ ლათინური, ან მხოლოდ ქართული სახელწოდებით. ზემოაღნიშნული უზუსტობები საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას, ხოლო გზშ-ის წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილების შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ ტექსტურ ნაწილში წერია, რომ „სკოპინგის ეტაპზე არ არის განხილული გამომუშავებული ელექტრო ენერგიის ქსელთან დაერთების პროექტი. საჭირო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის და ქვესადგურის განთავსების პროექტი განხილული იქნება გზშ-ის ეტაპზე და ინფორმაცია მის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება დეტალური პროექტის ფარგლებში.“ თუმცა „დანართი 3-ში“ მოცემულ ზოგიერთ ტექნოლოგიურ ნახაზზე დატანილია ელექტროგადამცემი ხაზის კონტური. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ექსკავირებული მასალა გადამუშავდება გარემოსდაცვითი და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. ის მასალა, რომლის გადამუშავებაც შეუძლებელია, ეროვნული რეგულაციებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დასაწყობდება შესაბამის ახლომდებარე განთავსების ობიექტებთან. საჭიროების შემთხვევაში, დასაწყობებისთვის გამოყოფილი დისტანციური ტერიტორიები შერჩეული იქნება ტრანსპორტირების შესაბამის მეთოდებთან ერთად“ საჭიროებს განმარტებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია თანხვედრაშია კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მისი ნაკვეთებთან (მაგალითად, ს/კ 42.16.43.722, ს/კ 42.16.43.652, ს/კ 42.16.43.099, ს/კ 42.16.42.865, ს/კ 42.16.42.662 და სხვ.), შესაბამისად გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- საპროექტო „ხაიშურა 3ესი 2“-ის შეტბორვის კონტური ასევე ზედდებამია სოფ. ქვედა ვედის შიდა გზასთან. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია არსებული გზ(ებ)ის გაუქმებით გამოწვეული ზემოქმედებისა და სოფლის მოსახლეობის ალტერნატიული გზით უზრუნველყოფის საკითხი;
- საპროექტო ტერიტორიის, კერძოდ, „ხაიშურა 2 3ესის“ ძალური კვანძის უშუალო სიახლოვეს გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა: შ-7 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი. წარმოდგენილი Shp-ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ასევე კვეთს აღნიშნულ საავტომობილო გზას, თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული საავტომობილო გზაზე ზემოქმედების საკითხი, რაც წარმოდგენილი უნდა იქნას გზმ-ის ეტაპზე. მათ შორის, საავტომობილო გზაზე განსახორციელებელი სამუშაოების არსებობის შემთხვევაში გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში) მშენებლობის პერიოდში ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, „ხაიშურა 1 3ესის“ ძალური კვანძის საპროექტო არეალი კვეთს სოფლის გზის მონაკვეთს, თუმცა აღნიშნული საკითხი არ არის განხილული სკოპინგის ანგარიშში. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებული გზის გადაკვეთით გამოწვეული ზემოქმედებისა და მასზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს „ხაიშურა 1“ და „ხაიშურა 2“ 3ესების მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების დეტალური და თანმიმდევრული აღწერა;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო „ხაიშურა 2 3ესის“ შეტბორვის არეალი მცირე მანძილით არის დაშორებული საცხოვრებელ სახლებთან (მიახლოებით მანძილი 13-32 მეტრი), თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული მოსახლეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, ნაპირდამცავი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის საჭიროება. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ადგილობრივი პირის კითხვაზე, იგეგმება თუ არა შეტბორვა რომელიმე მოსახლესთან, სს „ხაიშურა ენერჯის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეტბორვას ადგილი არ აქვს არცერთ მოსახლესთან. გარდა ამისა, საჯარო განხილვაზე დამსწრე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აღინიშნა ნაპირდამცავი ნაგებობების და ჯებირების მოწყობის საჭიროებაც. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები გათვალისწინებული/დაზუსტებული უნდა იქნას გზმ-ის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშსა და Shp ფაილებში არ არის მოცემული „ხაიშურა 2 3ესის“ შეტბორვის ალტერნატიული ვარიანტები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას გზმ-ის ეტაპზე, ხოლო შერჩეული ალტერნატივა დასაბუთებული უნდა იქნას ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობების მითითებით;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია „ბუნებრივის მსგავსი შემოვლითი გზის მოწყობა, რომელიც შეასრულებს თევზსავალის ფუნქციას.“ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია თევზსავალის ტიპის შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშსა და Shp ფაილებში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საპროექტო სადაწნეო გვირაბისა და მილსადენის განთავსების შესახებ, საწყისი და საბოლოო მონაკვეთების მითითებით (GPS კოორდინატები), ასევე მილსადენის მონაკვეთების მიწისქვეშა და მიწისზედა განთავსების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში, ცხრილში 2.2.1 მოცემულია, რომ „ხაიშურა 1 ჰესის“ შეტბორვის მოცულობა იქნება 99510 მ³, ხოლო „ხაიშურა 2 ჰესის“ - 153533 მ³. ამასთან ცხრილში 2.2.3 მოცემულია, რომ „ხაიშურა 1 ჰესის“ კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი მერყეობს 15203-15277.2 მ²-მდე, მოცულობა - 17728-34285.3 მ³-მდე, ხოლო „ხაიშურა 2 ჰესის“ შემთხვევაში კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის ფართობი იქნება 40602.1-40863 მ²-მდე, მოცულობა - 6801-12784 მ³-მდე. თუმცა, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვებზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ხაიშურა ჰესი 1“-ის მოცულობა იქნება 99000 მ³, ზედაპირის ფართობი - 10000 მ², ხოლო „ხაიშურა ჰესი 2“-ის მოცულობა იქნება 150000 მ³, ზედაპირის ფართობი - 40000 მ². შესაბამისად, ზემოაღნიშნული ურთიერთგამომრიცხავი საკითხები საჭიროებს გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას/კორექტირებას;
- სააგენტოში 2025 წლის 4 სექტემბრის N8574 სკოპინგის განცხადებით წარმოდგენილ ანგარიშში (რომელზეც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება სააგენტოს 16.09.2025 წ. N21/9077 წერილით) აღნიშნული იყო, რომ საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ფიქსირდებოდა მეწყრული/გეოლოგიურად არასტაბილური ზონები, თუმცა განახლებულ სკოპინგის ანგარიშში მოცემულ იმავე რუკებზე აღნიშნული ინფორმაცია ამოღებულია, ხოლო დანართში 2 გენ-გეგმაზე კვლავ დატანილია მეწყრული ზონა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებითაც სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე სს „ხაიშურა ენერჯის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალები განხილული იქნება გზმ-ის ანგარიშში. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიისა და მის მიმდებარედ არსებული მეწყრული/გეოლოგიურად არასტაბილური ზონების შესახებ ინფორმაცია, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას შერჩეული ალტერნატივების დასაბუთებაში;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილესთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „ხაიშურა ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, 55.6 მგვტ ჯამური სიმძლავრის ჰესების („ხაიშურა 1“ და „ხაიშურა 2“ ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.